



MES 2 20 0000649385



31/07/2020

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 15/07/2020

სხდომის დაწყების დრო 12:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 14 :55 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**თამარ თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**ნინო კვეციანი** - შპს "აღმოსავლური საქართველო" დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ლელაძე	

**უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი;
- არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე) - რექტორი;
- გრიგოლ სულაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურატორი;
- მარინე კაკიაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- ბელა სარია - ფაკულტეტის დეკანი;
- ნატო ასათიანი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ქეთევან პავლიაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

**1.პირველი საკითხი** - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის დოქტორი 0313
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28/04/2020

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა რომ „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამას 2018 წლის 24 აგვისტოს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის და 6 თვის ვადით, პროგრამა განხორციელდა 2018 წლის 5 დეკემბრიდან. პროგრამაზე მიღებული იქნა 5 დოქტორანტი. საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირებიდან ერთი წლის შემდეგ, შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ წარადგინა სააკრედიტაციო განაცხადი ხელახალი ვადით აკრედიტაციის მოპოვების მიზნით. 2020 წლის 10

იანვარს დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა დასკვნა და აკრედიტაციის 5 სტანდარტის მიხედვით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, მეორე სტანდარტი შეფასებულია ნაწილობრივი შესაბამისობით ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით. დაწესებულებამ წარადგინა არგუმენტირებული პოზიციის წერილი ცალკეული სტანდარტების მიხედვით, რომელიც გადაეზავნა და ხელმისაწვდომი იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ დასკვნის თანახმად, პირველ სტანდარტში რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით წარმოდგენილი იყო სამი რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამისათვის უფრო შესატყვისი სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ საკითხებს, როგორცაა დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმართება;

- პროგრამის მიზნების აღწერაში ვკითხულობთ, რომ „პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალური გადახრებისა და დევიაციურ ქცევებზე აქცენტით“. „სოციალური გადახრა“ და „დევიაციური ქცევა“ იდენტური ცნებებია (ამ მოსაზრებას იზიარებს უსდ, რაც დასტურდება წინა აკრედიტაციის ოქმით №34, 24/08/2018) და სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, დევიაციური ქცევა გვხვდება. ამდენად, რეკომენდებულია, დაზუსტდეს მიზნის ფორმულირება და შესაბამისად, ამოღებულ იქნეს ტერმინი „სოციალური გადახრები“. აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც;

- მიზანშეწონილია თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მოცემული სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მერვე დონესთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამა, ასევე წარმოადგინეს კურიკულუმის რუქა, სამიზნე ნიშნულები და სხვა დამატებითი აუცილებელი დოკუმენტაცია. როგორც ცნობილია 2021 წლამდე, ახალი კლასიფიკატორის მიხედვით უნდა მოხდეს სწავლის შედეგების და სილაბუსების გადაწყობა და სწავლის შედეგების ფორმირება უნდა გამხორციელდეს 3 კომპეტენციის თანახმად. აღნიშნული პროცესი დაწესებულებაში დაწყებულია და კანონით მათ განსაზღვრული აქვთ ვადა 2021 წლამდე. აკრედიტაციის საბჭომ პირველი სტანდარტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მეტწილი შესაბამისობით დაწია შეუსაბამობამდე. ანუ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პირველი სტანდარტი არ შეესაბამება მოთხოვნებს. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული არის რომ „საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: პირველი სტანდარტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნასთან უნდა შეფასდეს როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში, მეორე სტანდარტი ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისობაშია უნდა შეფასდეს როგორც არ არის შესაბამისობაში, ხოლო მეოთხე სტანდარტი ნაცვლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან უნდა შეფასდეს როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღსანიშნავია, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა არცერთი რეკომენდაცია. ერთადერთი დამატებითი რეკომენდაცია რაც იყო მოცემული დასკვნაში ეხებოდა სწავლების ელექტრონული სისტემის შექმნას. ანუ ელექტრონული ბაზით სტუდენტების აღრიცხვიანობას. აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა დაწყებულია და რეკომენდაცია შესრულებულია, ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაში. ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტაცია გაითვალისწინა, თუმცა ზეპირი მოსმენის დროს აკრედიტაციის საბჭომ შეცვალა მოცემული

პუნქტი. თუ აღნიშნულ გარემოებას მივცემთ სამართლებრივ შეფასებას, საუბარი არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე, რომლის თანახმად წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. წარმოდგენილ ოქმში და გადაწყვეტილებაში არანაირი წერილობითი დასაბუთება არ არის მოცემული. აკრედიტაციის დებულების მეხუთე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც უნდა იყოს ამომწურავი, სრული და ნათლად უნდა პასუხობდეს ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვეთილ ყველა არსებით საკითხს და კითხვას. შესაბამისად, დაწესებულებისათვის ბუნდოვანია ის გარემოება, თუ რატომ მიიღო აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით საბჭოს შეფასება არასამართლიანი და არარელევანტურია. გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის აკრედიტაციის დებულების 27<sup>4</sup>

მუხლის პირველ და მეოთხე პუნქტებთან, რომლის თანახმად საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი და ის არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას და საჯაროდ ექვევებ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრის და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას. დაწესებულების მოსაზრებით, ცენტრის მიერ შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აკისრიათ გარკვეული ვალდებულებები, მათ ეს ვალდებულებები შეასრულებს, განახორციელებს ადგილზე ვიზიტი და წარმოადგინებს შესაბამისი დასკვნა. უშუალოდ საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია, პასუხის გარეშე არ დარჩენილა არცერთი საკითხი. მათი მოსაზრებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აღმოჩნდა გარკვეულწილად „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში, საბჭომ მათი ნამუშევარი არ გაითვალისწინა და დასკვნიდან გამომდინარე გადაწყვეტილება შეცვალა დიამეტრიულად. დაწესებულება მიიჩნევს რომ სახეზეა კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევა, ადგილზე არ განხორციელებულა გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა, საბჭო არ დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ექსპერტთა და დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტირებულ პოზიციას და ისე მიიღო გადაწყვეტილება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მიზნაშეწონილად მიიჩნია წარმოედგინა სააპელაციო საჩივარი და მათი თხოვნაა სააპელაციო საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არქიმანდრიტმა ადამ ახალაძემ განაცხადა, რომ როდესაც არსებობს ერთგვარი პრეტენზია სასურველია გადაწყვეტილება ყოველთვის მიღებულ იქნას დაწესებულების სასარგებლოდ. პროგრამაში ჩადებულია ძალიან დიდი რესურსი, მათ შორის სახელმწიფო. პროგრამის ერთ ერთი კომპონენტი ბაზრის მოთხოვნაზე გათვლია. პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი სამეცნიერო კომპონენტი, რომელიც არ აქვს სხვა დაწესებულებას, პროგრამა არის უნიკალური თავისი შინაარსით და მიზნით. აღნიშნული გარემოება ასევე გაახმოვანა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმაც. როგორც ჩანს სახეზეა კომუნიკაციის პრობლემა. დაწესებულებისათვის მოულოდნელი იყო ამგვარი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებას კიდევ ერთხელ მიეცეს შანსი აჩვენოს პროგრამის უპირატესობა შესაბამის ორგანოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინე კაკიაშვილმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი და მიიღო აკრედიტაცია, მართალია პირობით, მაგრამ ამ პირობაში იგულისხმებოდა ის, რომ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ მთელი რიგი რეკომენდაციები. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები, პროგრამა გაუმჯობესდა მთავარი მიმართულებით, სილაბუსები გამართულია, პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური პერსონალი. მისი მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება იყო წინასწარ განწყობილი. ზეპირი მოსმენის გამართვამდე, აკრედიტაციის საბჭოს უკვე არ ჰქონდა გაზიარებული აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნა, რაც მისი მოსაზრებით არ არის სამართლიანი. პროგრამა იმსახურებს იმას რომ კიდევ ერთხელ იქნეს მოსმენილი აკრედიტაციის საბჭოზე. დაწესებულებამ გაითვალისწინა თითქმის ყველა რეკომენდაცია, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მათ მიაწოდა პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამა გაუმჯობესდა და კვლევითი სწავლების მეთოდს მიენიჭა უპირატესობა. პროგრამა გამდიდრდა როგორც უცხოენოვანი ასევე ქართული ლიტერატურით. შესაბამისად, მათთვის გაუგებარია მეორე ჯერზე რატომ მიიღო პროგრამა უარი აკრედიტაციის მინიჭებაზე. მოცემულ პროგრამას საქართველოში არ აქვს ანალოგი და ის არ იმეორებს სხვა პროგრამას არც თავისი ფორმით და არც შინაარსით. პროგრამა ეხება დევიაციურ ქცევებს, სოციალური ქცევიდან გადახრას, რაც მსოფლიოს მასშტაბით წარმოადგენს უდიდეს პრობლემას. შესაბამისად აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით სპეციალისტების მომზადება.

## დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს აქვს ლეგიტიმური უფლება გაიზიაროს ან არ გაიზიაროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ასევე შესაბამისი დისკუსიის და საჯარო განხილვის საფუძველზე შეცვალოს დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ როგორც დაწესებულება აღნიშნავს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას არ ახლავს შესაბამისი დასაბუთება. თუმცა აქვე საგულისხმოა რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმი წარმოადგენს გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს. ოქმში დეტალურად არის მოცემული თუ რაზე ისაუბრეს ექსპერტებმა, რაში დაეთანხმა ან არ დაეთანხმა მათ აკრედიტაციის საბჭო. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, აღნიშნული არის რომ პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. დასკვნაში ექსპერტები აღნიშნავენ რომ ამ შემთხვევაშიც მათ დახვდათ ის პრობლემები რაც წარმოჩენილი იყო წინა დასკვნის მიხედვით. ის დაინტერესდა თუ რატომ არ გაითვალისწინა დაწესებულებამ წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის სახელის დაზუსტება და მიზნის შესაბამისად ფორმულირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული იყო ორმაგად გაყოფილი პასუხი, გადამწყვეტი არ არის საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, არამედ ის კვალიფიკაცია რომელიც კურსდამთავრებულს ენიჭება პროგრამის დასრულების შემდეგ. მათ არ დაურღვევიათ კანონი, აღნიშნულის შესახებ მათ გაიარეს კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურებთან. დაწესებულებამ არ ჩათვალა მნიშვნელოვნად პროგრამის სახელწოდებაში გამოეტანა ის ძირითადი ასპექტები რასაც მოიცავდა უშუალოდ პროგრამის შინაარსი. როდესაც სახელოწოდების შესახებ მეორეჯერ გაჟღერდა რეკომენდაცია, შეიკრიბა საბჭო და მიღებული იქნა გადაწყვეტილება სახელოწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარადგინა ოქმი. თუმცა აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე თუ რატომ არ იქნა საბჭოს მიერ გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი. პროგრამას მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და შესაბამისად მათ უნდა გაეთვალისწინებინათ რეკომენდაციები. ხოლო დაწესებულებამ სახელწოდების შესახებ რეკომენდაცია შეასრულა მეორე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, რაც აკრედიტაციის საბჭოსთვის გახდა სავარაუდოდ საფუძველი მიღებული გადაწყვეტილებისა ვინაიდან რეკომენდაცია არ იყო შესრულებული დადგენილ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება არ უნდა დათანხმებოდა მოცემულ რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გახლდათ სასწავლო კომპონენტის შემცირება და სამეცნიერო კომპონენტის გაზრდა. აღნიშნული მათ გაითვალისწინეს და სასწავლო კომპონენტი შემცირდა 50 კრედიტამდე. თუმცა საგულისხმოა, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები როდესაც შეასრულა დაწესებულებამ, ამჟამად არსებულმა აკრედიტაციის საბჭომ მათ ეს ჩაუთვალა ხარვეზად. მან ასევე აღნიშნა, რომ ყურადსაღები იყო რეკომენდაციების შინაარსიც, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა უფრო მეტად რჩევის სახე, ის რაც დაწესებულებამ გაასწორა 5 დღეში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიღებული მხედველობაში. მისი მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები პირველ რიგში უნდა ყოფილიყო განმავითარებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა პროცესის მიმდინარეობისას არსებულ კომუნიკაციის პრობლემას. მას აინტერესებს კონკრეტულად, რა მომენტში გამოიკვეთა კომუნიკაციის პრობლემა და რატომ ჩათვალა დაწესებულებამ რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა თავიანთი თავი წარმოადგინეს პრივილეგირებულ პოზიციაში. ჰქონდა თუ არა ადგილი ეთიკური ნორმების დარღვევას, თუ აღნიშნული გახლდათ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე წამოსული მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ საუბარი არ ყოფილა ეთიკური ნორმების დარღვევაზე, საკითხი ეხებოდა ზეპირი მოსმენის და სამუშაოს შესრულების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების რა საფუძველი ჰქონდა აკრედიტაციის საბჭოს. როგორც უკვე აღინიშნა, ამის თაობაზე არაფერი არ არის მითითებული ოქმში. ოქმში არის ქრონოლოგიურად აღწერილი მთელი პროცესი, თუ ვინ რაზე ისაუბრა თუმცა დასაბუთება თუ რატომ მიიღო საბჭომ გადაწყვეტილება არ არის წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ როგორც დაწესებულებამ ახსენა მათ გათვალისწინებული აქვთ რეკომენდაცია ინგლისური ენის დონესთან და მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით. მას აინტერესებს როგორ ხდება რეფერატის წარდგენა, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს შეზღუდული კვალიფიკაცია პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ამ საკითხს ეხებოდა ერთმანეთის გამომრიცხავი ორი პუნქტი. დასკვნაში მითითებული იყო, რომ არასპეციალისტს, რომელსაც აქვს სურვილი პროგრამაზე მოხვედრის უნდა მიეცეს საშუალება ჩაირიცხოს პროგრამაზე და ამავე დროს რეკომენდაციაში ეწერა რომ მკაცრად განსაზღვრული ყოფილიყო ფსიქოლოგის მაგისტრის კვალიფიკაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში. აღნიშნულთან დაკავშირებით მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია, რაც ასახული არის სხდომის ოქმში. დაშვების წინაპირობაში მითითებული არის რომ დოქტორანტმა რეფერატის სახით უნდა წარმოადგინოს თავისი მომავალი კვლევითი ინტერესი და გაიაროს გასაუბრება. აღნიშნულს კანონი არ კრძალავს, თუმცა დაშვების წინაპირობაში მხოლოდ ფსიქოლოგიის მაგისტრის განსაზღვრაც არ წარმოადგენს პრობლემას.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ პროგრამას როგორც აღინიშნა ჰყავს 5 დოქტორანტი. მას აინტერესებს როგორ გადაწყდა მოცემული საკითხი ამ დოქტორანტებთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ 5 დოქტორანტიდან 3 არის სამედიცინო განათლების ხოლო ორი დოქტორანტი იურიდიული განათლების მქონე. მათ ჩარიცხვისას გაიარეს ყველა აუცილებელი პროცედურა. აღსანიშნავია, რომ საბჭოზე მათ წარმოადგინეს მონაცემები თუ როგორ იმუშავა პროგრამამ ერთი წლის მანძილზე. ჩანაწერში კონკრეტულად არის მითითებული ჰუმანიტარული და სოციალური დისციპლინები, მათ წინასწარ იცოდნენ თუ ვინ გამოთქვავდა სურვილს პროგრამაზე მოსასვლელად.

საბჭოს წევრმა, ნინო კეკელიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოდგენილი იყო 2020 წლის იანვრის თვეში, ხოლო აკრედიტაციის საბჭოზე ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის აპრილის თვეში. ამ სამი თვის პერიოდში პანდემიის სახით აუცილებელი იყო ახალ სისტემაზე, ელექტრონულ კომუნიკაციაზე გადასვლა. ამავდროულად რეკომენდაციაში მოცემულია რომ დაწესებულებას არ აქვს გამართული ელექტრონული სისტემა. მას აინტერესებს ასეთ შემთხვევაში როგორ აგრძელებდა სტუდენტი სასწავლო პროცესს. შესაბამისად შესაძლებელია საბჭოს გადაწყვეტილება განპირობებული ყოფილიყო ასევე აღნიშნული დამატებითი ღირებულებებით რაც ეხებოდა პანდემიის დროს ელექტრონული სისტემის არარსებობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ აღნიშნა, რომ საუბარი არ არის სასწავლო პროცესის ელექტრონულ მართვაზე, საუბარი ეხება სტუდენტის მონაცემების ელექტრონული ფორმატით დაფიქსირებას, სპეციალური ბაზის შექმნას. აღნიშნული არ გულისხმობს რომ სტუდენტს არ მიეწოდება ელექტრონული რესურსები მათ შორის ბიბლიოთეკა. რეკომენდაცია არ ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფერხებას. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია გათვალისწინებულია, მათ შეიძინეს სპეციალური პროგრამა და ელექტრონული მართვის სისტემასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე რომ მათ ბაზას მიეზღოს მონაცემები სტუდენტების ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვის შესახებ. სექტემბრიდან აღნიშნული საკითხი მოგვარებული იქნება.

13:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება~  
სხდომა განახლდა 13:45 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**2. მეორე საკითხი** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
---	--



1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქრისტიანობის ისტორია
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი 0222
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	06/03/2020

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივრებს და საჩივრებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლემ, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ 2018 წლის 24 აგვისტოს „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლით და 6 თვის ვადით. 2019 წლის 9 დეკემბერს დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, სტანდარტების მიხედვით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი - სრული შესაბამისობა; მეორე სტანდარტი - მეტწილი შესაბამისობა; მესამე სტანდარტი - მეტწილი შესაბამისობა; მეოთხე სტანდარტი - სრული შესაბამისობა; მეხუთე სტანდარტი - სრული შესაბამისობა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების აღწერილობის 2.5 პუნქტის თანახმად, საქმის მასალების შესწავლის და ზეპირი მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შინაარსი და ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტის შეფასებას. შესაბამისად საბჭომ მიიჩნია, რომ 2.3 კომპონენტი - „სასწავლო კურსი“; 2.6 კომპონენტი - „სტუდენტების შეფასება“ და 4.1 კომპონენტი - „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ უნდა შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით საუბარი იყო რამოდენიმე საგანზე, რომელიც უნდა წაკითხული ყოფილიყო თუ არა სადოქტორო საფეხურზე იმ ფორმით რა ფორმითაც იყო

წარმოდგენილი. 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა სილაბუსები, რომლის მოყვანა ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა თუმცა ამავე დროს ვადა განსაზღვრულია 2021 წლის ბოლომდე. რაც შეეხება სტუდენტის შეფასებას, სასწავლო კომპონენტში არსებული დისციპლინები იყოფა სპეციალობის და არჩევით დისციპლინებად. იმ საგნებში რომელიც არის ზოგადი, დაშვების წინაპირობად დატოვეს 11 ქულა და ამით მათ კანონი არ დაურღვევიათ. სპეციალობის საგნების სილაბუსებში გაკეთდა ჩანაწერი რომ 30 ქულა იყო საკმარისი იმისათვის რომ სტუდენტი დაშვებული ყოფილიყო ფინალურ გამოცდაზე. სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით მოცემული იყო რეკომენდაცია იმის თაობაზე რომ შეფასება ყოფილიყო ერთნაირი ანუ ყველა საგანში გაწერილი ყოფილიყო 30 ქულა. რაც შეეხება 4.1 კომპონენტს, რეკომენდაცია არ ყოფილა მოცემული და შეფასებული იყო სრული შესაბამისობით. გადაწყვეტილების მიხედვით კომპონენტი მოცემულია ნაწილობრივი შესაბამისობით, რასაც დაწესებულება ვერ დაეთანხმება. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა 2.3 და 2.6 კომპონენტში არის იდენტური, შესაბამისად მათ მიიჩნიეს რომ ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს. აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ სტანდარტების შეფასების ცვლილება არ არის დასაბუთებული და არგუმენტირებული. მიღებული შეფასება გახდა პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან პავლიაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება არ არის სამართლებრივად გამართული. ექსპერტთა საბჭო შეიჭრა ისეთ კომპეტენციაში რომელიც სამართლებრივად მას არ ეკუთვნის. მათ დაიწყეს ახალი რეკომენდაციების მოძიება. თუმცა მიუხედავად ამისა დაწესებულებას ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით გააჩნია არგუმენტირებული პასუხი. მან აღნიშნა, რომ ზეპირი მოსმენის დროს მას არ მიეცა საშუალება სრულყოფილად გაეცა პასუხი ექსპერტთა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე. სადოქტორო საფეხური უნდა იყოს ორიენტირებული მეცნიერულ კვლევაზე და არა ჩაციკლული სახით საგნების დაზეპირებაზე. რასაკვირველია ასეთი საგნებიც არის საჭირო მაგრამ ძირითადი ყურადღება მიმართულია კვლევაზე. როგორც ცნობილია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა წლების მანძილზე ჩართულია ბოლონის პროცესში. ბოლონის პროცესის მერვე მუხლი კონკრეტულად ითვალისწინებს ხელშეწყობას ნაკლებად განვითარებული დარგებისათვის. ასეთ დარგებს შორის გახლავთ ქრისტიანობა და ზოგადად რელიგია. ქვეყანა მრავალი წლის მანძილზე იყო ათეიზმის ეპოქაში და პოსტსაბჭოთა სივრცეში დღესდღეისობით სახეზეა სერიოზული პრობლემები, რომელიც ეხება საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების განვითარებას ეკლესიათა მიმართებაში. საგულისხმოა ტერიოტორიული გადანაწილების პრობლემები, მაშინ როდესაც არ არიან დარგის სპეციალისტები და იქმნება სერიოზული ვაკუუმი. მიღებულ ნაკადს შერჩეული აქვს ისეთი საკვლევი თემატიკა რომელიც დაეხმარება არსებული პრობლემების გადაჭრას, როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. აღსანიშნავია რომ „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა არ არსებობს არც ყოფილ საბჭოთა და არც პოსტსაბჭოთა სივრცეში. განათლების ბაზარზე აღნიშნული დარგის სპეციალისტების ძალიან დიდი მოთხოვნაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირების ანალოგი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულს ელოდება განვითაროს თავისი ცოდნა და ელოდება სადოქტორო პროგრამას.

## დისკუსია

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ექსპერტმა დასკვნაში ასახა რეკომენდაცია, რომელიც ეხება სხვადასხვა კურსებში შუა სემესტრული კომპეტენციის ზღვარი ყოფილიყო ერთნაირი. ცნობილია, რომ რეკომენდაცია არის სერიოზული მოცემულობა და ეს არ არის რჩევა. მას აინტერესებს რა სამართლებრივ ნორმატივებს დაეფუძნა ექსპერტი ამ რეკომენდაციის გაცემისას. რეკომენდაცია არის ცოტა უცნაური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციაში მოცემულია რომ დაზუსტდეს ქულების მინიმუმი დასკვნით გამოცდაზე გასვლის მიზნით. თუმცა სამართლებრივი ნორმატივები მითითებული არ არის.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა სიტყვა სიტყვით წაიკითხა ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია „დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის მინიმუმი“. ზოგიერთ სილაბუსში მითითებული იყო ორი გამსვლელი ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ ერთ სილაბუსში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია იყოს განსაზღვრული სხვადასხვა შეფასება. სილაბუსი არის დოკუმენტი რომელსაც ქმნის საგნის პედაგოგი, რომელიც განსაზღვრავს დაშვების წინაპირობას. მინიმალური ბარიერი დადგენილია კანონით და განსაზღვრულია 11 ქულა და მეტი.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ერთი და იგივე საგანს სხვადასხვა კურიკულუმში აქვს სხვადასხვა სტატუსი. ზოგიერთ შემთხვევაში საგანი არის სავალდებულო ხოლო ზოგ შემთხვევაში არჩევითი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ სილაბუსში გაწერილია აღნიშნული პრინციპი. პროგრამაში წერია რომ გამოცდაზე გამსვლელი ქულა არის 11 ან 30.

საბჭოს წევრმა, მანანა სამხარაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება რომ სილაბუსი იყოს გამიჯნული ვინაიდან როგორც გამოიკვეთა თავად ექსპერტებისთვისაც აღნიშნული პრინციპი ქულების განაწილების არ იყო სრულად გასაგები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან პავლიაშვილმა განაცხადა, რომ ყველა ის საგანი რომელიც არ არის სავალდებულო მაგრამ ასევე არ არის სასპეციალიზაციო, მინიმალური ქულა განსაზღვრულია 11 ქულით. ყველა სპეციალობის საგანი განსაზღვრულია 30 ქულით. ექსპერტთა ვიზიტის დროს ერთადერთ სილაბუსში იყო მექანიკური შეცდომა, მხოლოდ ამ შეცდომის გამო მათ შეიტანეს აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნაში, რამაც შემდგომ გამოიწვია აკრედიტაციის საბჭოს მიერ სტანდარტის შეფასების დაწვეა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ სულაბერიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს განხილული იყო თითოეული სტუდენტის კვლევის პროექტი. როგორც აღინიშნა, პროგრამას არ აქვს ანალოგი, შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ პროგრამა ვერ გააგრძელებს არსებობას, პროგრამის დოქტორანტს სხვა ალტერნატივა არ აქვს და ის ვერ განახორციელებს მობილობას. შესაბამისად პროგრამა მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოსთვის.

14:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 14:50 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

14:55 სხდომა დახურულად გამოცხადდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

